ექსპერტიზა

ქ. თბილისის, ბოჭორმის ქუჩაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა-ნაგებობის პროექტის შესაბამისობა დადგენილება N41 ტექნიკური რეგლამენტის „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების“-დამტკიცების თაობაზე.

თბილისი 29/05/2025წ

საექსპერტო დასკვნა

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები:

- ტექნიკური დოკუმენტაცია (შემდეგში ტდ): ბოჭორმის ქუჩაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა-ნაგებობის კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია; თბილისი, 2025წ.
- საკონტაქტო პირი: ი. სვიმონიშვილი
- TEL: 574 577 474
- არქიტექტორი: ი. სვიმონიშვილი
- ტდ ფორმატი: ArchiCAD და PDF ფაილის ფორმატი.

1 მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები).
2 რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები).
3 რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.
ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.
საჯარო რესურსი: http://tas.ge/

ტექნიკური რეგლამენტები:

1. ტექნიკური რეგლამენტი – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – [ref.#: 41].

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:

1. ref.#: 41 , მუხლი 2:

„1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე.

2. იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულია
მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი.
3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები:

საპროექტო ობიექტის შესაბამისობა რეგლამენტთან შემდეგ კომპონენტებში:
ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების
შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:
1„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

- ✓ *თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა*
- ✓ *კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი*
- ✓ *სიმაღლის შეზღუდვები*
- ✓ *ფართობის შეზღუდვები*
- ✓ *გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები*
- ✓ *ხანძრისგან დაცვის სისტემები*
- ✓ *მოთხოვნები გასასვლელებისადმი*
- ✓ *იატაკის და სახურავის ანაწყობები*
- ✓ *ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები*
- ✓ *წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები*
- ✓ *მისაწვდომობა*

1. შენიშვნები

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე

მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები

შშმ -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

პროექტის მიზანია განხორციელდეს მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობა. წარმოდგენილ შენობა-ნაგებობაში განლაგდება კომერციული, სასტუმრო და საცხოვრებელი ფართები.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.01.135.008), რომლის ფართობი 714 მ2-ია. მისი მისამართია ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა #11. ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარეობს საზოგადოებრივი გზა -ბოჭორმის ქუჩა, ამავე მხარესაა განთავსებული ნაკვეთზე შესასვლელი. ნაკვეთის დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარეობს კერძო ნაკვეთები. საკადასტრო საზღვრების ფარგლებში მოწყობილია გამწვანებული სივრცეები.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო ნაგებობა შედგება რვა მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა (ავტოსადგომი) სართულისგან. მიწისპირა სართულზე (± 0.00 ნიშნულზე) სართულზე სავაჭრო დაკავებულობებია მოწყობილი; პირველ (+ 3.79 ნიშნულზე) საქმიანი (სქ) ჯგუფის ფართები. (+ 6,99 ნიშნულზე) საქმიანი (სქ) ჯგუფისა და საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის ფართები.

ხოლო, დანარჩენ სართულებზე (+10.19; +13.39; +16.59; +19.79; +22.99

ნიშნულებზე) განთავსებულია საცხოვრებელი ჯგუფის (სც-2) დაკავებულობის (საცხოვრებელი ბინები).

ფასადის ნაწილი მოწყობილია იზოალუმინის ვიტრაჟული სისტემით, ხოლო დანარჩენი, აივანზე გასასვლელი კარი არის მეტალოპლასტმასით. აივნებზე მოწყობილია 1მ სიმაღლის ლითონის მოაჯირები.

ყველა სართული უზრუნველყოფილია 41 დადგენილების თანახმად მოთხოვნილი სანკვანძების რაოდენობით და მისაწვდომობით. შენობის სართულებზე გადაადილება ხდება შშმ პირთა მისაწვდომი ლიფტით.

რეგლამენტის 903.2.7 ქვეთავის თანახმად შენობა NFPA 13-ის მიხედვით აღჭურვილია საშხეფი სისტემით.

რეგლამენტის 907 და 907.4.3 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისად, შენობაში გათვალისწინებულია სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა.

აღჭურვილია ხმოვანი და ხელით სამართავი საგანგაშო სისტემებით. სისტემები განთავსებულია გასასვლელებთან. ასევე, გათვალისწინებულია ავარიული განათება, რომელიც უზრუნველყოფილია სათადარიგო ელ. მომარაგებით.

შენობა გადახურულია 2სთ ცეცხლმედეგობის მქონე ბრტყელი სახურავით (ჰიდროიზოლაციისა და დამათბუნებლის გათვალისწინებით).

შენობის სიგანე 30მ-ზე ნაკლებია. შესაბამისად ნორმატივებით ესაჭიროება ერთი მხრიდან მისადგომი 6,6მ სიგანის სახანძრო გზა. შენობასთან მისასვლელი ბოჭორმის ქუჩის გზის სიგანე აღემატება მოთხოვნილ სიგანეს.

შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსის ქანობი 16%-ია. თავში და ბოლოში მოწყობილი აქვს 10%-იანი გარდამავალი მონაკვეთები. ჭერის ყველაზე დაბალი მონაკვეთი 2,38მ-ია. რაც შეესაბამება ნორმებს. პანდუსის შესაბამისი ჭრილები წარმოდგენილია პროექტით.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითურ კარკასს. საძირკველი მოწყობილია ადგილზე ფორმირებული მონოლითური ფილით. მონოლითური რკინა-ბეტონის ფილებითაა მოწყობილი ასევე ყველა სართულშორისი გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ვიტრაჟული სისტემა. ადგილებში გათვალისწინებულია ბეტონის ბლოკი.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

•**სწ-2 (311.3)** მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი, რომელიც მოიცავს შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებს. დასახელებული დაკავებულობა განთავსებულია მიწისქვეშა სართულზე. აღნიშნული დაკავებულობა გამოყენებულია -3,50 ნიშნულზე.
პროექტში მითითებული დატვირთვის ფაქტორი - 18,6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.
მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18,6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

•**სვ (304.1)** სავაჭრო ჯგუფი, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობებს ან მათ ნაწილებს, რომელიც გამოიყენება როგორც საცალო მაღაზიები. დასახელებული დაკავებულობა განლაგებულია მიწისპირა სართულზე (±0,00 ნიშნულზე).
მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 2,8 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

•**სქ (304.1)** საქმიანი ჯგუფი, რომელიც მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის,.
დაკავებულობა გამოყენებულია +3,79 და +6,99 ნიშნულებზე.
მისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

- **სც-2 (310.1)** საცხოვრებელი ჯგუფის (სც) დაკავებულობა მოიცავს შენობას ან ნაგებობას, ან მის ნაწილს, რომელიც გამოიყენება საძინებლებად. ეს დაკავებულობა განლაგებულია I-VIII სართულებზე. (+6,99; +10,19;+13,39;+16,59;+19,79 და +22,99 ნიშნულებზე).
  პროექტში მითითებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18.6 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

- **თვ-3** (303.4) ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისთვის გამოიყენება. კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისთვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული თვ ჯგუფის არც ერთ სქვა ქვეჯგუფში.
  ეს დაკავებულობა გამოყენებულია ±0.00 ნიშნულზე.
  პროექტში მითითებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 4,7 მთლიანი, სწორადაა შერჩეული.

ცხრილი 1. სივრცეების დ.დ.[1]

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სივრცე		დატვირთვა			
		ნუმერაცია	ნიშნული	S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.	ჯამური დდ / კვ.მ
სწ-2	ავტოსადგომი	N01	-3,50	384,4	18,6	21	21/384,4
სვ	სავაჭრო ფართი	N01	±0,00	164,0	2,8	59	99/274,3
		N02		110,3		40	
სქ	საოფისე ფართი	N01	+3,79	43,9	9,3	5	59/513,2
		N02		32,4		4	
		N03		34,0		4	
		N04		39,0		5	
		N05		102,3		11	
		N06		113,0		12	
		N07	+6,99	32,4		4	
		N08		34,0		4	
		N09		39,0		5	
		N10		43,2		5	
სც-2	საცხოვრებელი ბინა	N01		69,6	18,6	4	106/ 1734,9
		N02		43,9		3	
		N03		38,6		3	
		N04		58,2		4	
		N05	+10.19	44.9		3	
		N06		33.4		2	
		N07		44.3		3	
		N08		31.9		2	
		N09		77.3		5	
		N10		39.0		3	
		N11		43.2		3	
		N12		45.9		3	
		N13	+13,39	72,4		4	
		N14		43,9		3	
		N15		31,8		2	
		N16		41,8		3	
		N17		83,7		5	
		N18	+16,59	73,2		4	
		N19		44,0		3	
		N20		84,8		5	
		N21		88,1		5	
		N22	+19,79	110,1		6	
		N23		137,8		8	
		N24		50,7		3	
		N25	+22,99	174,0		9	
		N26		44,2		3	
		N27		84,2		5	

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია 1004.1.2 ცხრილის წესების მოთხოვნები.

[1] ვინაიდან ყველა სივრცეს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი გასასვლელების ზომა მსგავსია (მსგავს დაკავებულობებში), თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე. დეტალური ინფორმაცია დამკავებელთა რაოდენობაზე თითოეული სივრცისთვის, წარმოდგენილია პროექტში.

2. **კონსტრუქციის ტიპის შეფასება:**

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. **სიმაღლისა და ფართობის შეფასება**

ცხრილი 503

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.2 ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლემედეგობის მიმართ მოთხოვნები გამოსაყენებელ მასალებზე ცხრილი 601 და 602_ის მიხედვით.

3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად წესების თავი 5 **ცხრილი 503-ს** მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფების გათვალისწინებით:

ცხრილი 2. სიმაღლე

დაკავებულობის ჯგუფი	შენობის სიმაღლე (მ)		სართულიანობა		კონსტრუქცია	
	დასაშვები	დაგეგმილი	დასაშვები	დაგეგმილი	ტიპი	კლასი
სწ-2	48.8	29.8	11	1	I	B
სვ			11	1		
სქ			11	2		
სც-2			11	6		

ცხრილი 3. ფართობები

დაკავებულობის ჯგუფი	შენობის სიმაღლე (მ)		სართულის ფართობი S (m²)[3]		კონსტრუქცია	
	დასაშვები	დაგეგმილი	დასაშვები	დაგეგმილი	ტიპი	კლასი
სწ-2	48.8	29.8	7340	384,4	I	B
სვ			შეუზღუდავი	274,3		
სქ			შეუზღუდავი	513,2		
სც-2			შეუზღუდავი	1734,9		
სათულების რაოდენობა	11	8	ჯამური ფართი	2906,8		

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია 503 ცხრილის წესების მოთხოვნები.

[2] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.

[3] აღებულია ყველაზე დიდი იატაკის მქონე სართულის ფართობი თითოეული დაკავებულობის ჯგუფისთვის.

1.1. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი **შერჩეულია** წარმოდგენილი გამოსაყენებელი მასალების ცეცხლმედეგობის, ფართობისა და სიმაღლეების გათვალისწინებით და მთლიანი ობიექტის კონსტრუქციის ტიპად მიღებულია **I(B)**.

1.2. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

2. **სტრუქტურული ჩარჩო:** 2ა სთ > გათვლილია 2სთ-ზე (40სმ სისქის კოლონები და 20სმ გადახურვის ფილა)
3. **გარე მზიდი კედლები:** 2 სთ > გათვალისწინებულია 2სთ-ზე მეტი (30 სმ მონოლითური კედელი)
4. **შიგა მზიდი კედლები:** 2ა სთ. გათვალისწინებულია 2სთ-ზე მეტი (30 სმ მონოლითური კედელი)
5. **გარე არამზიდი კედლები**: **ცხრ. 602 შესაბამისად** [4]0 სთ- > გათვლილია 2 სთ-ზე მეტი- 30სმ ბეტონის ბლოკის შემავსებლები.
6. **შიგა არამზიდი კედლები და ტიხრები**: 0 სთ > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი, დერეფნები, ლიფტის შახტა, კიბის უჯრედი და დაკავებულობებს შორის გამყოფი ტიხრები მოწყობილია 2სთ ცეცხლმედეგობის მქონე (კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული) ბლოკით. დაკავებულობის შიდა ტიხრები მოწყობილია 1სთ ცეცხლმედეგობის მქონე 10სმ სისქის სატიხრე ბლოკით.
   გამმიჯნავები (20 სმ ბეტონის ბლოკის კედლები იხ. ცხრილი 721.1)
7. **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 2 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
8. **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1ა,გ სთ > გათვლილია 3სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. ბრტყელი გადახურვა, პემზის დამათბუნებლის და ჰიდროიზოლაციის გათვალისწინებით.

9. ცხრილი 4. გარე კედლების ცეცხლემედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად)[5]

გარე კედელის მონაკვეთი	დაკავებულობა	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული
A	სვ/სქ/სც-2	X ≥ 9 9.0 მ ან მეტი	I (B)	0სთ	>2სთ
B2	სვ/სქ/სც-2	3 ≤ X < 9 6,0მ-ზე მეტი და 7,5მ-ზე ნაკლები		1ფ სთ	>2სთ
C	სვ/სქ/სც-2	1,5 ≤ X < 3 1,5მ-ზე მეტი და 3,0მ-ზე ნაკლები		1 სთ	>2სთ
D	სწ-2	X ≤ 1,5 0მ-ზე მეტი და 1,0მ-ზე ნაკლები		2სთ	>2სთ

10. თითოეული გარე კედლის დაშორება ცალ-ცალკეა გაზომილი და მისადაგებული ცხრილის პარამეტრებსა და დაკავებულობის ჯგუფებს.
11. კედლების ნაწილი, რომელიც ენერგოეფექტური ვიტრაჟებითაა მოწყობილი, დანარჩენი ნაგებობებისგან დაცილებულია 9მ-ზე მეტი მანძილით.

[4] დეტალურად იხ. შემდეგი ცხრილი.
[5] იხ.სურათი 2

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია ცხრილი 602 წესების მოთხოვნები.

- **ტიპი II(A)** კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია სწორად, ცხრილი **602** შესაბამისად.

  გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს. (იხ. ცხრილი 5)

  - ცხრილი 5. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან

ფასადის მონაკვეთი	ნიშნული	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი (%)	გათვალისწინებული
A	±0.00/+30,39	**X ≥ 9** 9.0 მ ან მეტი	დაუცველი საშხეფებით	შეუზღუდავი	გამოთვლა აუცილებელი არ არის
	±0.00/+28,99				
	+14,19/+30,39				
B2	±0.00/+30,39	3 ≤ X < 9 6,0მ-ზე მეტი და 7,5მ-ზე ნაკლები	დაუცველი საშხეფებით	შეუზღუდავი	გამოთვლა აუცილებელი არ არის
C	±0.00/+30,39	1,5 ≤ X < 3 1,5მ-ზე მეტი და 3,0მ-ზე ნაკლები	დაუცველი საშხეფებით	25%	0,1%
D	-3,50/±0.00	X ≤ 1,5 0მ-ზე მეტი და 1,0მ-ზე ნაკლები	დაცული საშხეფებით	დაუშვებელია	0%

  - ფასადების კედლების მოპირკეთების ხარისხი 25სმ ლესვა-ღებვა და ლოკალურად ლითონის ფურცლით მოპირკეთება აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

საპროექტო შენობის მაქსიმალური სავალი მანძილი გასასვლელამდე აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს. დაშვებულია 70მ, პროექტით განსაზღვრულია დასაშვებზე ნაკლები.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია ცხრილი 1016.2 წესების მოთხოვნები.

ცხრილი 3. საერთო სავალი ბილიკის შეფასება (ცხრილი 1014.3)

სართული/ნიშნული	დაკავებულობა		გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი [6]		
	ჯგუფი	დატვირთვა	სამხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1 (-3,50)	სწ-2	≤30	კი	30ა	18,7
1 (±0.00)	სვ	≥30		23ა	4,0
2 (+3,79)	სქ	≥30		30ა	26.7მ
3 (+6,99)		≤30		30ა	19,5
	სც-2	≥30		38,ბ	19,5
4 (+10,19)		≥30		38,ბ	22,6
5 (+13,39)		≥30		38,ბ	23,7
6 (+16,59)		≥30		38,ბ	24,8
7 (+19,79)		≥30		38,ბ	23,6
8 (+22,99)		≥30		38,ბ	24,6

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია ცხრილი 1014.3 წესების მოთხოვნები.

3. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

● პირველ სართულს (0.00 ნიშნულს) წესების 1021.2(2) ცხრილის მიხედვით მოეთხოვება ორი გასასვლელი, რასაც გეგმარება აკმაყოფილებს. წარმოდგენილი ორი გასასვლელი საშუალება. წესების 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები.

● 0.00 ნიშნულზე მოწყობილია 2 დამატებითი შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარები, ლიფტიდან გამოსასვლელ გზა-კარს ემსახურება.

● 0.00 ნიშნულზე მოწყობილია 5 დამატებითი შენობიდან გამოსასვლელის გზა-კარები, რომლებიც სავაჭრო ჯგუფის დაკავებულ იატაკებს ემსახურება.

● 0.00 ნიშნულზე განთავსებული გასასვლელები მიწის დონეზეა განთავსებული, შესაბამისად, მათ პანდუსები არ სჭირდებათ. დასახელებული გასასვლელი საშუალებებიდან ორი შენობა-ნაგებობის აუცილებელი გასასვლელი საშუალებაა.

● შენობა-ნაგებობის მომდევნო სართულებს (I-VIII სართულის ჩათვლით) წესების 1021.2(2) ცხრილის მიხედვით ორი გასასვლელი სჭირდება. სართულს ემსახურება ორი გასასვლელი გზა-კიბე, რომლებიც ერთმანეთთან დერეფნითაა დაკავშირებული. წესების 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები.

● შიდა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ორ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ტიხრებით (ბლოკის შემავსებელი 20სმ) და ყველა გეგმარებითი კომპონენტით აკმაყოფილებს წესების 1022 ქვეთავის მოთხოვნებს.

● შიდა გასასვლელის გზა-კიბეების ღიობები ცეცხლმედეგია და ყველა გეგმარებითი კომპონენტით აკმაყოფილებს წესების 1022.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

● გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია გასასვლელიდან ყველაზე მოშორებული წერტილიდან და აკმაყოფილებს წესების 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

4.2. <u>გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები</u>: კომპონენტების

[6] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცე თითოეული ტიპის დაკავებულობიდან (ანუ ყველაზე დაშორებული).

რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **ცხრილი** 1015.1.1 პარაგრაფის გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარების რაოდენობის ანგარიში:

4. ცხრილი 4. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის (ცხრილი 1015.1)

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	დამკავებელთა დატვირთვა		სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა	
		მაქსიმალური	არსებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1 (-3,50)	სწ-2	29	21	1	1
1 (±0.00)	სვ	49	99	3	4
2 (+3,79)	სქ	49	41	1	2
3 (+6,99)		49	18	1	2
	სც-2	10	14	1	2
4 (+10,19)			24	1	2
5 (+13,39)			17	1	1
6 (+16,59)			17	1	1
7 (+19,79)			17	1	1
8 (+22,99)			17	1	1

შენიშვნა:

- **1015.1.1:** 49-დან 501-მდე დაკავებულობას ორი გზა კარი ესაჭიროება. 501-დან 1000-მდე 3, ხოლო 1000-ზე მეტ დაკავებულობის მქონე სივრცეს 3 გზა კარი ესაჭიროება.
- **1015.2.1** ქვეთავის დებულების შესაბამისად. საპროექტო შენობაში, პროექტით არსებული ორი გზა-კარი ერთმანეთისგან დაშორებულია, შენობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტით. გარდა ამისა, შენობის დერეფნები მთლიანად აღჭურვილია სავენტილაციო და საშხეფი სისტემებით.
- 5 (+13,39) სართულიდან 8 (+22,99) სართულამდე სართულის ფართი 450 კვ.მ-ზე ნაკლებია და არ საჭიროებს ორი კიბის უჯრედის მოწყობას.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

- ნაგებობაში გათვალისწინებული შიდა გასასვლელის გზა-კიბეების სიგანეები 1.50მ-ია და შეესაბამება **წესებში** მოთხოვნილ პარამეტრებს და აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ნაწილის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილი სახელური სრულიად აკმაყოფილებს **წესების** 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საფეხურის შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე (300X169მმ) **წესების** 1009.7 ქვეთავის მიხედვითაა დაპროექტებული. გზა-კიბის ბაქნები **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

- სავალი ბილიკების სიგანეები (2.0 მ) შეესაბამება **წესების** 1005.3.2 და 1018.2 ქვეთავების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი 12)

- გასასვლელი საშუალების ყველა კარი აკმაყოფილებს **წესების** 1008.11

ქვეთავის მოთხოვნებს. (პროექტით გათვალისწინებულია: გზა კიბეების გასასვლელი ღიობების ცეცხლმედეგობა-90წთ. დაკავებულობებიდან დერეფანში გამავალი ღიობის ცეცხლმედეგობა-20წთ)

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

5. სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **I(B)** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1ს.გ. საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავი წარმოადგენს ბრტყელ გადახურვას, რომელზზეც დამატებით მოწყობილია ჰიდროიზოლაციისა და თბოიზოლაციის მასალები, რაც კონსტრუქციული ფილის 2სთ ცეცხლმედეგობას დამატებით ზრდის.

- **შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

6. ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება:

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები წესების 906.1 ქვეთავის მიხედვით ყველა დაკავებულობაში და დერეფნებში განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10-ის მოთხოვნების შესაბამისად.
- წესების 713.4 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული შახტები შემოზღუდულია 1სთ ცეცხლმედეგობის მქონე ბლოკის კედლით. და შეესაბამება 707 ქვეთავის მოთხოვნებს. ასევე დერეფნები უზრუნველყოფილია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემით.
- წესების 907.2.2 ქვეთავის მიხედვით ნაგებობაში დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც უნდა მოეწყოს NFPA 72-ის მიხედვით.

  ● კვამლზე მორეაგირე უნდა მოეწყოს ქვეთავი 907.2.11 ქვეთავის შესაბამისად.

  ● კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ქვეთავი 907.2.6.3.3 მოთხოვნებს.

  ● კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა მოწყობილია დერეფნებში 907.5 ქვეთავის შესაბამისად.
- ● -3,50 ნიშნულზე არსებულ ავტოსადგომზო სახანძრო სისტემა უნდა

დააყენონ NFPA 72-ის მოთხოვნების შესაბამისად.

შენიშვნა: **912**_ე ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა და ადგილმდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო -სამაშველო სამსახურთან;

- **შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

7. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება წესების ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს. მთლიან ნაგებობაში განაწილებულია საოჯახო და ნაკვეთურებიანი ტუალეტების საკმარისი რაოდენობა.

- **წესების 1109.2** ქვეთავის თანახმად განისაზღვრა საჭირო რაოდენობის მისაწვდომი ტუალეტები, რომლებიც დაგეგმარდა ICC A117.1-ის მიხედვით.

- არსებულ შენობაში წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს. მათი რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს მიშენებული ნაწილის სმ-2 დაკავებულობისთვის საჭირო მოთხოვნებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით											
სართულები	სამრეწველო ერთეულები	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სამომსახურეო ნიჟარა		წყლის დასალევი შადრევანი	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1 (-3,50) დ.დ	სწ-2 21	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1 (±0.00) დ.დ	სვ 99	**1**	**2**	**1**	**2**	-	-	**1**	**1**	**1**	**1**
2(+3,79) დ.დ	სქ 41	**2**	**6**	**2**	**6**	-	-	**1**	**1**	**1**	**1**
3(+6,99) ბინის რაოდენობა	სქ 13	**1**	**3**	**1**	**3**	-	-	**1**	**1**	**1**	**1**
	სც-2 3ც	**4**	**4**	**4**	**4**	**4**	**4**	**1**	**1**	**1**	**1**
4(+10,19) ბინის რაოდენობა	სც-2 8ც	**8**	**9**	**8**	**9**	**8**	**9**	**1**	**1**	**1**	**1**

5(+13,39) ბინის რაოდენობა	სც-2 5ც	**5**	**5**	**5**	**5**	**5**	**5**	**1**	**1**	**1**	**1**
6(+16,59) ბინის რაოდენობა	სც-2 4ც	**4**	**4**	**4**	**4**	**4**	**4**	**1**	**1**	**1**	**1**
7 (+19,79) ბინის რაოდენობა	სც-2 3ც	**3**	**5**	**3**	**5**	**3**	**5**	**1**	**1**	**1**	**1**
8 (+22,99) ბინის რაოდენობა	სც-2 3ც	**3**	**4**	**3**	**4**	**3**	**4**	**1**	**1**	**1**	**1**

- დს და სწ დაკავებულობებს ფიქსირებული მოწყობილობები არ მოეთხოვება.

- **შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

6. მისაწვდომობის შეფასება:

5.1. **ლიფტები:** შენობაში გამოყენებულია 1007.2.1 და 1007.4 ქვეთავის შესაბამისი აუცილებელი მისაწვდომი ლიფტი (2 ცალი).

5.2. **გზა-კიბეები:** „იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს (პროექტით გათვალისწინებულია 1,3მ) და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან“. ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია გზა-კიბის სიგანის ნაწილში.

5.3. **კარები:** თავისუფალი სიგანე > ან = 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე > ან = 205 სმ (1008 ქვეთავი);

5.4. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში — დაკავშირება პირდაპირ. არ საჭიროებს პანდუსის მოწყობას. ინტერიერში არსებული იატაკების დონე თანაბარ დონეზეა და მთლიანად უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი, ყველა სართულზე (ასახულია ნახაზებზე).

5.5. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** პროექტში დაცულია 1109.2 ქვეთავის მოთხოვნები და ყველა სართულზე, თითოეული საპირფარეშო სივრცეში მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტის მოწყობილობები.

- **შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული ტ.დ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.



დასკვნა


წარმოდგენილი შეფასებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისის, ბოჭორმის ქუჩა #11, ს/კ 01.17.01.135.008 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო მრავალფუნქციური (საცხოვრებელ-კომერციული) შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი სრულიად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ, რომ არქიტექტურული დოკუმენტაცია შესრულებულია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის აუცილებელ ყველა საჭირო ინფორმაციას.


საპროექტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: დავით ვარვარიძე



თბილისი 29/05/2025


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
დავით
DAVID
გვარი / LAST NAME
ვარვარიძე
VARVARIDZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01013006865
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.07.1979
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
26.07.2023
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
13IB17963


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.07.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 02/13
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE013IB17963501013006865<<<<
7907108M2307264GE0<<<<<<<<<<<4
VARVARIDZE<<DAVID<<<<<<<<<<<<<

GEORGIA

DIPLOMA AA № 0073713 ❋

This is to certify that Mr/Ms DAVID VARVARIDZE

in 2002 completed a full academic course of the

TBILISI STATE ACADEMY OF ART

majoring in

INTERIOR DESIGN

By resolution of the State Examination Board, dated JUNE 26 2002 Mr/Ms D. VARVARIDZE is conferred the present DIPLOMA and the qualification of

AN INTERIOR DESIGNER

Seal of the Office

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City OF TBILISI 2005.

Registration № 6874

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0073713 ❋

მიეცა დავით ვარვარიძეს

მასზედ, რომ მან 2002 წელს დაამთავრა

სრული კურსი

სპეციალობით

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 26 ივნისის

გადაწყვეტილებით დ. ვარვარიძეს მიენიჭა

კვალიფიკაცია

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 2005 წ.

სარეგისტრაციო № 6874

მდივანი



Curriculum Vitae

დავით ვარვარიძე

E-mail: david.varvaridze@gmail.com
მობილური: +995 597 144461
სახლი: +995 322 997665

სამუშაო გამოცდილება :

2022 - დღემდე
შ.პ.ს. „მეგავატ.გე“

- არქიტექტორი
- **სამუშაოს აღწერილობა**: პროექტირება, შენობა-ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2019 – დღემდე
“EMG” Engineering Monitoring Group

- არქიტეკტორი- ექსპერტი
- პროექტების შემოწმება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიმართებაში.

2018 - 2018
“საქართველოს მელიორაცია”

- არქიტექტორი
- **სამუშაოს აღწერილობა**: შენობა-ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2016 - 2017
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA)

- არქიტექტორი

- **სამუშაოს აღწერილობა**: •შენობა-ნაგებობებისათვის საპროექტო ტერიტორიისა და შენობის მოძიება, და შესწავლა; · საპროექტო სამუშაოების განხორციელება, ტექნოლოგიის, ნორმებისა და დადგენილებების თანახმად; · საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა სტადიების მიხედვით; საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება; · პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება (მუშა პროექტი) · მომიჯნავე დარგების კონტროლი. · დეფექტური აქტის მომზადება (სამუშაოთა მოცულობები) · საპროექტო, სატენდერო ან საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადება; სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა-შესწავლა; · სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის მონიტორინგი; · შენობის აზომვითი სამუშაოების ჩატარება, მისი დეტალურად შესწავლა, და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. · საჭიროების შემთხვევაში სხვა მიმდინარე დავალებების შესრულება.

2013-აგვ – 2014-ივლ:

„NG Georgia“,“ NG Galaxy“

- · მთავარი არქიტექტორი
- · **სამუშაოს აღწერილობა**: შენობა-ნაგებობეის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2008-სექ. – 2013-ივლ:

შპს „კარკასი“ (კიკეთის სოციალური პროექტები)

- · მთავარი არქიტექტორი
- · **სამუშაოს აღწერილობა**: შენობა-ნაგებობეის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2006-სექ. – 2008-ივლ:

შპს „არქიმედია“

- · მთავარი არქიტექტორი
- · **სამუშაოს აღწერილობა**: შენობა-ნაგებობეის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2004-აგვ. – 2006-აგვ:

CARTU GROUP LTD „BURJI“

- არქიტექტორი

- **სამუშაოს აღწერილობა**: მუშა დოკუმენტაციის დამუშავება.

განათლება :

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

1996-სექ. – 2002-ივნ: **მაგისტრი**